# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1186

18/12/2020

ქ. თბილისი

**შპს „დარი+“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (სილიკომანგანუმის ტექნოგენური დანაგროვის ქერქული ნარჩენების მანგანუმის შემცველი მადნის გამდიდრება) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „შაველა-2020“-ზე გადაცემის შესახებ**

2020 წლის 1 დეკემბერს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „დარი+“-ისა და შპს „შაველა-2020“-ის დირექტორებმა. შპს „დარი+“-მა ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „შაველა-2020“-ზე და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „დარი+“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (სილიკომანგანუმის ტექნოგენური დანაგროვის ქერქული ნარჩენების მანგანუმის შემცველი მადნის გამდიდრება) გაიცა №6 (04.02.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (№2-1044; 13.11.2020).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „დარი+“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (სილიკომანგანუმის ტექნოგენური დანაგროვის ქერქული ნარჩენების მანგანუმის შემცველი მადნის გამდიდრება) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 ნოემბრის №2-1044 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „შაველა-2020“-ს;

2. შპს „შაველა-2020“-მა უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 ნოემბრის №2-1044 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „შაველა-2020“-სა და შპს „დარი+“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შაველა-2020“-ისა და შპს „დარი+“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი